ხანდაზმულებში ყოველდღიური საქმიანობის დამოუკიდებლად შესრულების უნარის შეფასება

პროტოკოლი №5

მიზანი: ხანდაზმულთა ფუნქციონალური სტატუსის განსაზღვრა ყოველდღიური საქმიანობის დამოუკიდებლად შესრულების უნარის შეფასების გზით.

რესურსი:

პრაქტიკის ექთანი;
უბნის ექთანი.

მატერიალური:

- ყოველდღიური საქმიანობის დამოუკიდებლად შესრულების უნარის შეფასების ინსტრუმენტი;
- ხანდაზმულთა რეგულარული სამედიცინო მეთვალყურეობის ბარათი.

ორგანიზაციული ასპექტები:

1. ხანდაზმულებში ყოველდღიური საქმიანობის დამოუკიდებლად შესრულების უნარის შეფასება განიხილება, როგორც ხანდაზმულთა რეგულარული სამედიცინო მეთვალყურეობის კომპონენტი;
2. შეფასებას ატარებს:
   ა) ზოგადი პრაქტიკის ექთანი წელიწადში ერთხელ 75 წლის ზემოთ ასაკის პირებში და სამ წელიწადში ერთხელ 65-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ვინც მომართავს დაწესებულებას რეგულარული სამედიცინო შემოწმებისათვის;
   ბ) უბნის ექთანი პაციენტებში, ვისთვისაც ამბულატორიული ვიზიტის შესრულება შეუძლებელია.

3. სკრინინგის შედეგებს ექთანი აფიქსირებს ხანდაზმულთა სამედიცინო მეთვალყურეობის ბარათის სათანადო გრაფაში.

პროცესი:

1. ყოველდღიური საქმიანობის დამოუკიდებელად შესრულების უნარის შეფასებისათვის ექთანი იყენებს Kartz-ის ინდექსს (იხ. დანართი 1).
2. საკმაოდ ღირებულია და პროგნოზული მნიშვნელობა აქვს სხვა სკრინინგულ ტესტებსაც (იხ. ხანდაზმულთა რეგულარული სამედიცინო მეთვალყურეობის გაიდლაინი). პროტოკოლის ავტორთა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას „ადექი და წადი“ ტესტის გამოყენების შესახებ (იხ. დანართი 2).
3. ყოველდღიური საქმიანობის დამოუკიდებლად შესრულების უნარის დაქვეითების შემთხვევაში (ანუ Kartz-ის ინდექსი არ არის A) საჭიროა ამის შესახებ ოჯახის/უბნის ექიმის ინფორმირება და პაციენტის მდგომარეობის კომპლექსური შეფასების უზრუნველყოფა, რაც სამედიცინო ასპექტების გარდა, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს პაციენტის საცხოვრებელი გარემოსა და ფსიქოლოგიური სფეროს შეფასებას.

გამოსავალი:

1. Kartz-ის ინდექსი განისაზღვრა X შემთხვევაში;
2. გამოვლენილი ინდექსების პროფილი;
3. რამდენ შემთხვევაში ჩატარდა „ადექი წადი“ ტესტი;
4. „ადექი წადი“ ტესტის შედეგად მოხერხდა X დარღვევის იდენტიფიცირება.

Kartz-ის ინდექსი

Kartz-ის ინდექსი საშუალებას იძლევა, შეფასდეს ხანდაზმული ადამიანის მიერ ყოველდღიური საქმიანობის დამოუკიდებლად შესრულების უნარი. ანუ შეუძლია თუ არა მას დამოუკიდებლად დაბანა, ჩაცმა, ტუალეტში შესვლა, გადაადგილება, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების შესრულება, კვება.

A. შეუძლია დამოუკიდებლად საკვების მიღება, ტუალეტით სარგებლობა, გადაადგილება ბინაში, ჩაცმა და დაბანა;

B. არ შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს ზემოჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთი ფუნქცია;

C. არ შეუძლია დამოუკიდებლად დაბანა და **(A)** პუნქტში ჩამოთვლილთაგან კიდევ ერთი ფუნქციის შესრულება;

D. არ შეუძლია დამოუკიდებლად დაბანა, ჩაცმა და **(A)** პუნქტში ჩამოთვლილთაგან კიდევ ერთი ფუნქციის შესრულება;

E. არ შეუძლია დამოუკიდებლად დაბანა, ჩაცმა, ტუალეტით სარგებლობა და **(A)** პუნქტში ჩამოთვლილთაგან კიდევ ერთი ფუნქციის შესრულება;

F. არ შეუძლია დამოუკიდებლად დაბანა, ჩაცმა, ტუალეტით სარგებლობა, ბინაში გადაადგილება და **(A)** პუნქტში ჩამოთვლილთაგან კიდევ ერთი ფუნქციის შესრულება;

G. დამოუკიდებლად არ შეუძლია **(A)** პუნქტში ჩამოთვლილთაგან არც ერთი ფუნქციის შესრულება;

ტესტი "ადექი და წადი"

დასვით პაციენტი მყარ და სწორზურგიან მაღალ სავარძელში.

დავალებები (ინსტრუქციები) პაციენტისათვის:
ადექით (თუ შესაძლებელია, ეცადეთ სავარძლის სახელურები არ გამოიყენოთ);
გაჩერდით ერთი წუთი;
გადადგით წინ 10 ნაბიჯი;
შემოტრიალდით და დაბრუნდით სავარძელთან;
შემოტრიალდით და დაჯექით.

დავალების შესრულების აღწერა:

წონასწორობა ჯდომისას;
გადასვლა ჯდომიდან დგომაში;
ნაბიჯის და სიარულის სიმყარე და სიმტკიცე;
შემობრუნების, მოტრიალების უნარი ბარბაცის, ტორტმანის გარეშე.

ინტერპრეტაცია: თუ პაციენტს ტესტის შესასრულებლად სჭირდება 20 წამზე მეტი, ითვლება, რომ მას წაქცევის მაღალი რისკი აქვს.